

როგორ გავიაროთ რეგისტრაცია ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურზე




1. აირჩიეთ რეგიონი, სადაც თქვენი სკოლა მდებარეობს.
2. აირჩიეთ მუნიციპალიტეტი, სადაც თქვენი სკოლა მდებარეობს.
3. აირჩიეთ თქვენი სკოლა.
4. ჩაწერეთ თქვენი თერთმეტნიშნა პირადი ნომერი.
5. გაეცანით პირობებს და მონიშნეთ "ვეთანხმები წესებს და პირობებს".
6. დააჭირეთ ღილაკს "გადაამოწმეთ თქვენი მონაცემები".

7. თუ უკვე რეგისტრირებული ხართ, დააჭირეთ ღილაკს "ავტორიზაცია".
8. თუ უკვე რეგისტრირებული ხართ და პაროლი არ გახსოვთ, დააჭირეთ ღილაკს "პაროლის აღდგენა".




1. ჩაწერეთ პაროლი (მინიმუმ 6 ციფრი და/ან სიმბოლო).
2. ჩაწერეთ პაროლი განმეორებით.
3. ჩაწერეთ მობილური ტელეფონის ნომერი (მხოლოდ ცხრა ციფრი ცარიელი ადგილების გარეშე).
4. დააჭირეთ ღილაკს "ვერიფიკაცია".

მითითებულ ტელეფონზე მიიღებთ SMS შეტყობინებას ვერიფიკაციის კოდით.




1. ჩაწერეთ SMS შეტყობინებით მიღებული კოდი.
2. დააჭირეთ ღილაკს "ვერიფიკაცია".




1. მონიშნეთ, ოლიმპიადის რომელ საგნებში გსურთ მონაწილეობის მიღება.
2. დააჭირეთ ღილაკს "დადასტურება".

რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შემთვევაში გადახვალთ ავტორიზაციის გვერდზე, სადაც მითითებული იქნება, რომ რეგისტრაცია წარმატებით დასრულდა.
იმისათვის, რომ დარწმუნდეთ შეტანილი ინფორმაციისა და არჩეული საგნების სისწორეში, გაიარეთ ავტორიზაცია და დაათვალიერეთ თქვენი სარეგისტრაციო მონაცემები.




1. ჩაწერეთ თერთმეტნიშნა პირადი ნომერი.
2. ჩაწერეთ რეგისტრაციის დროს შექმნილი პაროლი.
3. დააჭირეთ ღილაკს "ავტორიზაცია".

თუ შეტანილი პირადი ნომერი და პაროლი სწორია, გადახვალთ თქვენს პირად გვერდზე, სადაც შეგიძლიათ დაათვალიეროთ და შეცვალოთ შეტანილი მონაცემები.



1. რეგისტრაციის დასრულებამდე შეგიძლიათ შეცვალოთ არჩეული საგნები.
2. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გჭირდებათ სპეციალური საგამოცდო გარემო, მონიშნეთ "მჭირდება სპეც. პირობები". გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში რეგისტრაციის დასრულებამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, რეგიონებში კი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში უნდა წარმოადგინოთ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N 100).
3. მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს "დადასტურება". წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მიერ შეტანილი ცვლილებები არ შეინახება.
4. ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს ამ ღილაკის საშუალებით შესაძლებელი იქნება ტესტირების ავტორიზაციის გვერდზე გადასვლა და ტესტის გავლა.
5. ყველა საჭირო ცვლილების შენახვის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს "გამოსვლა".


პაროლის აღდგენა



თუ პაროლი არ გახსოვთ, რეგისტრაციის ან ავტორიზაციის გვერდზე დააჭირეთ ღილაკს "პაროლი აღდგენა".


1. ჩაწერეთ თერთმეტნიშნა პირადი ნომერი.
2. დააჭირეთ ღილაკს "პაროლის აღდგენა".

თუ პირადი ნომერი სწორია, რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონზე მიიღებთ SMS შეტყობინებას ვერიფიკაციის კოდით.




1. ჩაწერეთ SMS შეტყობინებით მიღებული ვერიფიკაციის კოდი.
2. დააჭირეთ ღილაკს "პაროლის აღდგენა".

თუ ვერიფიკაციის კოდი სწორი იქნება, გადახვალთ პაროლის შეცვლის გვერდზე.



1. ჩაწერეთ ახალი პაროლი (მინიმუმ 6 ციფრი და/ან სიმბოლო).
2. განმეორებით ჩაწერეთ ახალი პაროლი.
3. დააჭირეთ ღილაკს "პაროლის შეცვლა".

თუ ახალი პაროლი და განმეორებით ჩაწერილი ახალი პაროლი დაემთხვევა ერთმანეთს, გადახვალთ ავტორიზაციის გვერდზე, სადაც მითითებული იქნება, რომ პაროლი წარმატებით შეიცვალა.



გაიარეთ ავტორიზაცია თქვენი პირადი ნომრით და ახალი პაროლით და დარწმუნდით, რომ პაროლი წარმატებით შეიცვალა.